**კომპეტენციის დადასტურება და გამოცდის ჩაბარება შესაძლებელია შემდეგ საგნებში:**

- ქართული ენა და ლიტერატურა (დაწყებითი საფეხური);
- მათემატიკა (დაწყებითი საფეხური);
- ბუნებისმეტყველება (დაწყებითი საფეხური);
- ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება (I – IV კლასები);
- ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
- ქართული, როგორც მეორე ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
- მათემატიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური).
- საზოგადოებრივი მეცნიერებები (საბაზო ან/და საშუალო საფეხური):

ა) ისტორია
ბ) გეოგრაფია
გ) სამოქალაქო განათლება

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (საბაზო ან/და საშუალო საფეხური):

ა) ფიზიკა
ბ) ქიმია
გ) ბიოლოგია

- უცხოური ენები (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური):

ა) ინგლისური
ბ) გერმანული
გ) ფრანგული
დ) რუსული

- ესთეტიკური აღზრდის საგნები:

ა) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება
ბ) მუსიკა
გ) სპორტი

- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები;

<u>2017 წლის პროფესიული კომპეტენციის დამადასტურებელ ტესტში მცირე ცვლილებებია შესული</u>

2017 წლის პროფესიული უნარების ტესტი სამი ნაწილისაგან შედგება: სასწავლო გარემო, სწავლება და პროფესიული განვითარება.

მაქსიმალური ქულაა 70.

ტესტში შევა შემდეგი ტიპის დავალებები:

არჩევითპასუხიანი დავალება ოთხი სავარაუდო პასუხით, რომელთაგან სწორია მხოლოდ ერთი. *დავალება ერთქულიანია.*

შესაბამისობის დავალება, რომელიც ცხრილის სახითაა მოცემული. ცხრილი ორი სვეტისაგან შედგება. ერთ სვეტში მოცემულია პირობა, მეორეში _ სავარაუდო პასუხები. სვეტებში მოცემული ინფორმაცია ერთმანეთს უნდა შეუსაბამოთ და პასუხი ჩაწეროთ თანდართულ ცხრილში. *დავალება ერთქულიანია.*

ღიადაბოლოებიანი დავალება, რომელიც მოითხოვს არგუმენტირებულ მსჯელობას მოცემული საკითხის შესახებ (*თითოეული ღიადაბოლოებიანი დავალების გასწვრივ მითითებულია მაქსიმალური ქულა).*

<u>პრაქტიკოს მასწავლებელს უფლება აქვს:</u> დარეგისტრირდეს ელექტრონულად (მხოლოდ ერთ საგანში კომპეტენციის დასადასტურებლად) და ასევე პროფესიული კომპეტენციის დასადასტურებლად ვებგვერდებზე: www.naec.gov.ge და online.naec.ge

<u>მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან პროგრამაში ჩასართავად უფლება აქვს მხოლოდ ერთი საგნის გამოცდის ჩასაბარებლად დარეგისტრირდეს</u> ბაკალავრი, მაგისტრი და/ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ნებისმიერი პირი.

<u>მასწავლებლობის მსურველებმა პარალელურად რეგისტრაცია უნდა გაიარონ საგანმანათლებლო რესურსცენტრებში და წარადგინონ შემდეგი დოკუმენტები:</u>

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი.